



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000050824598920

№ 31-0

04 / სექტემბერი / 2020 წ.

## განკარგულება

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფ. ვარდისუბანში მდებარე 50 604 კა (ს/კ 54.07.51.055) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით, 2029 წლის 31 ივლისის ჩათვლით, იჯარით გადასცეს ივანე ბეჟაშვილს (პ.ნ.25001015435), ალექსანდრე კიკილაშვილსა (პ.ნ. 25001025577) და გიორგი წეველიძეს(პ.ნ.25001049006) სოფელ სვიდების მოსახლეობის მიერ, საძოვრად გამოყენების პირობით. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 1440.00 ლარი.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 აგვისტოს № 42-ი განკარგულება.

#### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

#### მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.